თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი

საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია

თეატრის მსოფლიო დღის გზავნილი, 27 მარტი, 2022

გზავნილის ავტორი: პიტერ სელერსი, აშშ
თეატრისა და ოპერის რეჟისორი, ფესტივალის დირექტორი

ქართული (თარგმანი)

2022 წლის მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი, პიტერ სელერსი

ძვირფასო მეგობრებო,

იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო ყოველ წუთსა და წამს ინფორმაციის ნაკადს თვალს ვერ აშორებს, შევძლებ კი მოგიწოდოთ თქვენ, შემოქმედებს, რომ შემოუერთდეთ ჩვენს ხედვას და სფეროს და ამ ეპიკური დროის, ეპიკური ცვლილებების, ეპიკური ცნობიერების, ეპიკური გამოხატვის, ეპიკური ხედვის პერსპექტივას. ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის ეპიკურ პერიოდში და ის ღრმა და მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელსაც ჩვენ განვიცდით ადამიანურ ურთიერთობებში, ერთმანეთის მიმართ და არაადამიანურ სამყაროში, აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს აღვიქვათ, წარმოვთქვათ, ვილაპარაკოთ და გამოვხატოთ.

ჩვენ არ ვცხოვრობთ ოცდაოთხსაათიან საინფორმაციო ციკლში, ჩვენ დროთა საზღვარზე ვცხოვრობთ. გაზეთები და მედია სრულიად შეუიარაღებელი და უმწეოა გადმოსცეს ის, რასაც ჩვენ განვიცდით. სად არის ის ენა, როგორია ის მოძრაობა, ან ხატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ ჩვენს თვალწინ არსებული საბედისწერო ძვრები და რღვევები? როგორ გადმოვცეთ ჩვენი ამ წამისეული ცხოვრების შინაარსი არა როგორც ახალი ამბავი, არამედ როგორც ცოცხალი გამოცდილება?

თეატრი ადამიანის გამოცდილების მხატვრული ფორმაა.

სამყაროში, რომელიც გადატვირთულია დაუსრულებელი მედია კამპანიებით, გამოცდილების სიმულაციებით და საშინელი პროგნოზებით, როგორ შეგვიძლია გავცდეთ ციფრების უსასრული გამეორებას და მივაღწიოთ ერთი სიცოცხლის, ერთი ეკოსისტემის მეგობრობის, ან უცნაურ ცაში სინათლის ხარისხის სიწმინდისა და უსასრულობის აღქმამდე. COVID-19-ის ორმა წელმა გაცვითა ადამიანთა შეგრძნებები, დაავიწროვა მათი ცხოვრება, გაწყვიტა კავშირები, უცნაურ ნულამდე დაიყვანა მათი ხორცასხმული და შეკავშირებული არსებობა.

რა მარცვლის დარგვა და გადარგვაა საჭირო ამ წლებში? რა არის ინვაზიური და შემტევი არსებათა კლასი, რომელიც სრულად და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას? ამდენი ხალხი ზღვარზეა. ამდენი ძალადობა ფეთქდება, ირაციონალურად თუ მოულოდნელად. ამდენი მყარი სტრუქტურა წარმოჩნდა, როგორც სისასტიკის უმოწყალო აგენტი.

სად არის გახსენების რიტუალები? რა უნდა გვახსოვდეს? როგორია ის რიტუალები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს საშუალებას მოგვცემს ხელახლა წარმოვიდგინოთ და გავყვეთ გზას, რომელიც არასდროს ყოფილა გაკვალული.

ეპიკური ხედვის, არსის, მნიშვნელობის, გამოსწორების და განკურნების თეატრს ახალი რიტუალები სჭირდება, ჩვენ არ გვინდა გართობა, ჩვენ გვჭირდება შეკრება. ჩვენი სივრცე უნდა გავიზიაროთ და გავაშენოთ საერთო სივრცეები. ჩვენ გვჭირდება ყურადღებით მოსმენისა და თანასწორობის უსაფრთხო ადგილები.

თეატრი დედამიწაზე თანასწორობის სივრცის შექმნაა ადამიანებს, ღმერთებს, მცენარეებს, ცხოველებს, წვიმის წვეთებს, ცრემლებსა და განახლებას შორის. თანასწორობისა და ყურადღებით მოსმენის ეს სივრცე განათებულია ფარული სილამაზით, რომელსაც აცოცხლებს საშიშროების, სიმშვიდის შენარჩუნების, სიბრძნის, მოქმედებისა და მოთმინების სიღრმისეული ურთიერთქმედებება.

,,ყვავილების ორნამენტის“ სუტრაში ბუდა განსაზღვრავს დიდი მოთმინების ათ ფორმას ადამიანის ცხოვრებაში. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს ჰქვია "ყველაფრის მირაჟად აღქმის მოთმინება''. თეატრი კი ამქვეყნიურ ცხოვრებას ყოველთვის მირაჟის მსგავსად წარმოადგენდა და საშუალებას გვაძლევდა განმათავისუფლებელი სიცხადითა და ძალით ადამიანური ილუზიების, ბოდვისა და სიბრმავის მიღმა გაგვეხედა.

ჩვენ იმდენად დარწმუნებული ვართ, რას და როგორ ვუყურებთ, რომ აღარ შეგვიძლია დავინახოთ და ვიგრძნოთ ალტერნატიული რეალობა, ახალი შესაძლებლობები, ორიგინალური მიდგომები, უხილავი ურთიერთობები და მარადიული კავშირები.

ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი გონების, ჩვენი აღქმისა და ჩვენი წარმოსახვის, ჩვენი ისტორიისა და ჩვენი მომავლის განახლების მომენტში. ამ მძიმე შრომის გაწევა არ შეუძლიათ ეულად მყოფ, მარტომოქმედ ადამიანს. ეს საქმე ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ. თეატრი გახლავთ საქმის ერთად კეთების მოსაწვევი.

უღრმესი მადლობა თქვენი შრომისთვის.

პიტერ სელერსი

პიტერ სელერსი, დაბადებული პიტსბურგში, პენსილვანია (აშშ), არის ოპერისა და თეატრის რეჟისორი, მრავალი საერთაშორისო ფესივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს სპექტაკლები ჰოლანდიის ეროვნულ ოპერაში, ინგლისის ეროვნულ ოპერაში, ფესტივალისთვის d'Aix-en-Provence, ჩიკაგოს ლირიკულ ოპერაში, პარიზის ნაციონალურ ოპერასა, ზალცბურგის ფესტივალზე და სხვა.